ევროკავშირის ბიულეტენი

№ 5, ივლისი 2023

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ასოციაცია „ევროპის დროით“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გთავაზობთ „ევროკავშირის ბიულეტენს“. თქვენ გაეცნობით ევროკავშირის შესახებ და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თაობაზე ზუსტ და ფაქტობრივ ინფორმაციას.

გურანდა ჭელიძე
ისტორიის დოქტორი
ჟან მონეს პროფესორი

ეკატერინე ქარდავა
სამართლის დოქტორი
ჟან მონეს პროფესორი

ევროკავშირში გაწევრების კანდიდატი და პოტენციური ქვეყნები

2023 წლის ივლისის მდგომარეობით ევროკავშირში გაწევრების კანდიდატის სტატუსი მინიჭებული აქვს 8 ქვეყანას, პოტენციური კანდიდატის კი - 2 ქვეყანას.

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებია: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა და მოლდოვა, რომელთაგან ხუთმა სახელმწიფომ გააკეთეს რა განცხადება გაწევრებაზე, **ჯერ პოტენციური კანდიდატის, შემდეგ კანდიდატის სტატუსი მიიღეს**. თურქეთიც ერთგვარი საინტერესო და სპეციალური შემთხვევაა გაწევრების კონტექსტში. რაც შეეხება 2022 წლის გაფართოებას და სტატუსის მინიჭების საკითხს, წევრობისათვის განაცხადი გაკეთდა ისე, რომ ქვეყნებს არ ჰქონიათ ევროკავშირის წევრობის ფორმალური სტატუსი. **უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ პოტენციური კანდიდატის სტატუსის გარეშე**. უკრაინისა და მოლდოვასათვის სტატუსის მინიჭების შემდგომ, ეს ფაქტი იქნება დამკვიდრებული პრაქტიკიდან განსაკუთრებული გამონაკლისი.

კანდიდატ ქვეყნებს შორის მხოლოდ ხუთი ქვეყნის შემთხვევაშია გახსნილი გაწევრების მოლაპარაკება.

ევროკავშირში გაწევრების პოტენციური კანდიდატი ქვეყნების - კოსოვოსა და საქართველოს შემთხვევა, განსხვავებულია ერთმანეთისაგან. საქართველო დღემდე მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ისევ რჩება პოტენციურ კანდიდატად, მაშინ როცა კოსოვო, მსგავსი სტატუსის პირობებში, ჯერ კიდევ ელოდება უვიზო რეჟიმით სარგებლობის ამოქმედებას შენეგნის სივრცეში.

ევროკავშირში გაწევრების კანდიდატი ქვეყნები

ქვეყანა	პოტენციური კანდიდატის სტატუსი	კანდიდატის სტატუსი	გაწევრების მოლაპარაკების გახსნა
ალბანეთი **ოფიციალური ენა:** ალბანური **მოსახლეობა:** 2,875,763 **აღიარებული ეთნიკური უმცირესობა:** ბერძნები, მაკედონიელები, მონტენეგროელები, ბოშები, ვლახები/არომანიელები, ბალკანელი ეგვიპტელები **რელიგია:** 59 % - ისლამი 17% - ქრისტიანები	2003	2014	2018
ბოსნია და ჰერცოგოვინა **ოფიციალური ენები:** ბოსნიური, სერბული, ხორვატული. **მოსახლეობა**: 3,220,694 **ეთნიკური ჯგუფები:** 50.1% ბოსნიელები 30.8% სერბები 15.4% ხორვატები 3.7% სხვები **რელიგია:** 51% ისლამი 46% ქრისტიანები	2003	2022	
მონტენეგრო დამოუკიდებლობა სერბეთისგან გამოაცხადა 2006 წელს და 2008 წელს აღიარებულ იქნა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ნატოს წევრია. **მოსახლეობა:** 628.300 **ენები:** ალბანური, ბოსნიური, ხორვატიული, სერბული	ფორმალურად 2008 წლიდან	2010	2012

ეთნიკური ჯგუფები: 45% მონტენეგროელები 28.7% სერბები 8.6% ბოსნიელები 4.9% ალბანელები 8.7% სხვები 4% - არადეკლარირებული **რელიგია:** 76% ქრისტიანები 19 % ისლამი			
ჩრდილო მაკედონია არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. საბერძნეთის მოთხოვნით შეიცვალა ქვეყნის სახელწოდება. **მოსახლეობა:** 1,836,713 **ოფიციალური ენები:** მაკედონიური და ალბანური **ოფიციალური რეგიონული ენები:** თურქული რომანული სერბიული ბოსნიური არომანიული **ეთნიკური ჯგუფები:** 58.4% მაკედონიელები 24.3% ალბანელები 3.9% თურქები 2.5% ბოშები 1.3% სერბები 0.9% ბოსნიელები 0.5% არომანიელები 1.0% სხვები 7.2% არადეკლარირებული **რელიგია:** 60.4 % - ქრისტიანები 32.2.% - ისლამი	2003	2005	2018 2022 დაიწყო სკრინინგი
სერბეთი სერბეთს გამოეყო მონტენეგრო და კოსოვო. ორივე ცნეს/ აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. **მოსახლეობა:** 6,647,003 **ოფიციალური ენა:** სერბიული	2003	2012	2014 (ფორმალური დასაწყისი) 2021

ეთნიკური ჯგუფები: 83.3% სერბები 3.5% უნგრელები 2.1% ბოშები 2% ბოსნიელები 9% სხვები **რელიგია:** 90.6% ქრსიტიანები 3.1% ისლამი			
თურქეთი **ოფიციალური ენა:** თურქული **მოსახლეობა:** 87,018,054 **ეთნიკური ჯგუფები:** 70-75% - თურქები 19% ქურთები 6-11% სხვები თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა. არ აქვს ოფიციალური რელიგია. **რელიგია:** 99.8% ისლამი, 0.2% ქრისტინები	1999		2005
უკრაინა **ოფიციალური ენა:** უკრაინული **მოსახლეობა:** 39,701,739 **ეთნიკური ჯგუფები:** 77.8% უკრაინელები 17.3% რუსები 4.9% სხვები **რელიგია:** 87.3% ქრისტიანობა 11.0% რელიგიის გარეშე 1.7% სხვები		2022	
მოლდოვა **ოფიციალური ენა:** მოლდავური (მოლდოვის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც განსაზღვრავს მოლდოვასა და რუმინულს, როგორც ერთი და იმავე ენის გლოსონიმებს). **ეთნიკური ჯგუფები:** 82.07% მოლდოველები/ რუმინელები 6.57% უკრაინელები 4.57% გაგაუზები 4.06% რუსები 1.88% ბულგარელები 0.85% სხვები **რელიგია:** 91.8% ქრისტიანობა მოსახლეობა: 2,603,813		2022	

ევროკავშირში გაწევრების პოტენციური ქვეყნები

ქვეყანა	პოტენციური კანდიდატის სტატუსი
კოსოვო კოსოვოს დამოუკიდებლობა სერბეთისგან გამოცხადდა 2008 წელს. ევროკავშირმა იგი აღიარა, თუმცა ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყანა მას არ აღიარებს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. **მოსახლეობა:** 1,806,279 **ოფიციალური ენები:** ალბანური და სერბული. ოფიციალური რეგიონული ენები: ბოსნიური, თურქული, რუმინული **ეთნიკური ჯგუფები:** 92% ალბანელები 4% სერბები 2% ბოსნიელები 1% თურქები 1% რუმინელები **რელიგია:** 95.6% ისლამი 3.7% ქრისტიანობა	კოსოვომ 2022 წელს წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრების თაობაზე. 2024 წლიდან კოსოვოს მიეცემა შესაძლებლობა ისარგებლოს უვიზო რეჟიმით შენგენის სივრცეში
საქართველო **ოფიციალური ენა:** ქართული **მოსახლეობა:** 3,688,647 **ოფიციალური რეგიონული ენა:** აფხაზური **ეთნიკური ჯგუფები:** 86.8% ქართველები 6.2% აზერბაიჯანელები 4.5% სომხები 0.7% რუსები 2.1% სხვები **რელიგია:** 88.1.% - ქრისტიანობა 10.7% - ისლამი 1.2% - სხვები	საქართველომ 2022 წელს გააკეთა განაცხადი ევროკავშირში გაწევრების თაობაზე. 2022 წელსვე მიიღო პოტენციური კანდიდატის სტატუსი. 2017 წლიდან მიენიჭა უვიზო რეჟიმით სარგებლობის უფლება შენგენის სივრცეში.

EUROPEAN TIME

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com